ოქმი:**ო37. 3726265001**

თარიღი:**22/09/2026**

ოქმი N 26

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2026 წელი, 21 სექტემბერი

ქ. ოზურგეთი

17:00 -საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ.კიკვაძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე, დ. ხურციძე, ე.გორდელაძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ჩხიკვიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 8 წევრი, სხდომა უფლებამოსულია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წერიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

მარიკა ჩხიკვიშვილი

2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების ანგარიშის მომოხილვის შესახებ“ - განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ლაითურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე (ს.კ 26.25.12.090) სააგარაკე-საცხოვრებლის დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე”- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი:

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი:

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი:

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ის მიერ მატერიალური ფორმით წარმოდგენილი პეტიციის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლიუდმილა შენგელია

7. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი:

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N1 საკითხი შევიდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში დამტკიცების მიზნით

N 2 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე ცნობად მიღების მიზნით..

N 3 საკითხი განხილვისა და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს დარგობრივ კომისიებს (ბ.თოიძე,დ.ჭაკნელიძე).

N4 საკითხი განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას (ბ.თოიძე).

N5 საკითხი განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს მუდმივმოქმედ კომისიას(ბ.თოიძე) .

N6 საკითხი განსახილველად და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპლიტეტის მერს.

N7 საკითხი განხილვისათვის დაეწეროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას,გ.(ჩავლეშვილი),განხილვისა და დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწეროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას. (მ.ჩხიკვიშვილი).

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი